



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080169515195519

№ 2806

27 / ივნისი / 2019 წ.

**„BEHLEN INDUSTRIES LP“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები:** 4.01.2016 №160 (CMR160175591);

**შესყიდვის ობიექტი:** 71300000 – საინჟინრო მომსახურებები;

**მიმწოდებელი:** „BEHLEN INDUSTRIES LP“ (ს/ნ: 3977448);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 1 აპრილს წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 1 აპრილის №MES91900378192 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3552), რომლითაც სააგენტოს ეცნობა „BEHLEN INDUSTRIES LP“-ის (ს/ნ: 3977448) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2016 წლის 4 ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR160175591) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ „BEHLEN INDUSTRIES LP“-ს 2019 წლის 2 აპრილის № 1343 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 10 აპრილს „BEHLEN INDUSTRIES LP“-მა წარმოადგინა 2019 წლის 4 აპრილის განმარტება (რეგისტრაციის № 3935) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

1.4. სააგენტოს 2019 წლის 13 მაისის №1813 წერილით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „სპორტმშენსერვისის“ მოეთხოვა 2016 წლის 4 ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტაზე შპს „სპორტმშენსერვისის“ 2019 წლის 12 მარტის № 01-36/56 წერილით გამოხატული თანხმობის, ასევე მიმწოდებლისთვის მისი ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

1.5. 2019 წლის 22 მაისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წარმოადგინა 2019 წლის 21 მაისის № MES11900609863 წერილი (რეგისტრაციის № 5453), რომელსაც თან ერთვის შპს „სპორტმშენსერვისის“ 2019 წლის 12 მარტის № 01-36/56 წერილი, ასევე მიმწოდებლისთვის მისი ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

1.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თავმჯდომარის 2019 წლის 31 მაისის № 2517 განკარგულებით „BEHLEN INDUSTRIES LP“-ის შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა ერთი თვით.

1.7. 2019 წლის 26 ივნისს შპს „სპორტმშენსერვისმა“ წარმოადგინა 2019 წლის 26 ივნისის № MES01900854716 წერილი (რეგისტრაციის № 6900) 2016 წლის 4 ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

## 2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2016 წლის 4 ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა მოემზადებინა 3 ერთეული მრავალპროფილიანი მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო დოკუმენტაცია და შეესრულებინა მათი სამშენებლო სამუშაოები ქალაქ ბათუმში, ქალაქ თელავსა და ქალაქ გორში. გარდა ამისა, შპს „სპორტმშენსერვისთან“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, მიმწოდებელს უნდა მოემზადებინა ქალაქ თბილისში არსებული ჭიდაობის სახლის, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრისა და ქალაქ ქუთაისის სპორტის სასახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე შეესრულებინა მათი სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 54 350 000 აშშ დოლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 იანვარი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2019 წლის 18 მარტის № MES81900317693 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2016 წლის 4 ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

## 3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, მან წელიწადზე მეტია, დაასრულა სამივე ობიექტის მშენებლობა, რასთან დაკავშირებითაც გაცემული იყო სსიპ „ლევან სამხარაულისა სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნები. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ ბათუმის სპორტის სასახლე 2018 წელს გამოყენებულ იქნა ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადის ჩასატარებლად, ხოლო 2019 წლის მარტში – საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩასატარებლად. გარდა ამისა, ხსენებულ შენობაში ასევე ჩატარდება ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატი. მიმწოდებელმა ასევე წარმოადგინა სსიპ „ლევან სამხარაულისა სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნები.

## 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2016 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, შპს „სპორტმშენსერვისმა“ (ს/ნ: 204878542) და „BEHLEN INDUSTRIES LP“-მა (ს/ნ: 3977448) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმეს № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR160175591).

4.2. №160 ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელს:

4.2.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის ვადაში (2017 წლის 4 თებერვლის ჩათვლით) უნდა მოემზადებინა ქალაქ ბათუმის, ქალაქ თელავისა და ქალაქ გორის სპორტის სასახლეების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო 2017 წლის 1 ივლისის ჩათვლით უნდა შეესრულებინა მათი სამშენებლო სამუშაოები;

4.2.2. შპს „სპორტმშენსერვისთან“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, უნდა მოემზადებინა ქალაქ თბილისში არსებული ჭიდაობის სახლის, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრისა და ქალაქ ქუთაისის სპორტის სასახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე შეესრულებინა მათი სამშენებლო სამუშაოები;

4.3. №160 ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 31 იანვარი, ხოლო ხელშეკრულების ღირებულებად – 54 350 000 აშშ დოლარი, მათ შორის:

4.3.1. ქალაქ ბათუმისა და ქალაქ თელავის სპორტის სასახლეების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულებად – 100 000 აშშ დოლარი, ხოლო სამუშაოების ღირებულებად – 22 775 000 აშშ დოლარი;

4.3.2. ქალაქ ქუთაისის სპორტის სასახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულებად – 60 000 აშშ დოლარი, ხოლო სამუშაოების ღირებულებად – 11 915 000 აშშ დოლარი;

4.3.3. ქალაქ გორის სპორტის სასახლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულებად – 40 000 აშშ დოლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ღირებულებად – 10 960 000 აშშ დოლარი;

4.3.4. ქალაქ თბილისის ჭიდაობის სახლის, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულებად – 50 000 აშშ დოლარი, ხოლო სამუშაოების ღირებულებად – 8 450 000 აშშ დოლარი.

4.4. მიმწოდებელმა შეასრულა და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო 7 368 752,28 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 13%), რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 15 თებერვლის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით.

4.5. 2017 წლის 15 აგვისტოს №160/2 შეთანხმებით მხარეებმა სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება გადაავადეს, კერძოდ, ქალაქ გორის სპორტის სასახლის შემთხვევაში – 2017 წლის 21 ნოემბრამდე, ქალაქ თელავის სპორტის სასახლის შემთხვევაში – 2017 წლის 26 ნოემბრამდე, ქალაქ ბათუმის სპორტის სასახლის შემთხვევაში – 2017 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.

4.6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 20 თებერვლის №MES41900201813 მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ:

4.6.1. მიმწოდებელს არ დაუსრულებია ქალაქ ბათუმის, ქალაქ თელავისა და ქალაქ გორის სპორტის სასახლეების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები, რის გამოც, ვერ ხორციელდებოდა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება;

4.6.2. ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, საჭირო გახდა 2017 წლის ხელბურთში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილის შეცვლა, ასევე ვერ ჩატარდა 2018 წლის ხელბურთში 18-წლამდეელთა ევროპის ჩემპიონატი ქალაქ თელავში;

4.6.3. მიმწოდებლის ქმედებების გამო, საფრთხე შეექმნა 2018 წელს ქალაქ ბათუმში მსოფლიო საჯადრაკო ოლიმპიადის გამართვას;

4.6.4. ვიზუალური დათვალიერების შედეგად შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილ იქნა ხარვეზები;

4.6.5. ბათუმის სპორტის სასახლის დიდ დარბაზში მიმწოდებელმა დააგო ხის პარკეტი, რაც შეესაბამებოდა საერთაშორისო ფედერაციების მიერ დადგენილ სტანდარტს, თუმცა სხვა დარბაზებში იგი გეგმავდა ვინილის იატაკის დაგებას, რაც ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ სტანდარტებს, ასევე არ შეთანხმებულა შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

4.7. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2019 წლის 15 თებერვლის № 000991919, 6 მარტის № 001524519 და 17 მარტის № 001802619 ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, მიმწოდებლის მიერ ქალაქ ბათუმში, ქალაქ გორსა და ქალაქ თელავში შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ნაცვლად მიმწოდებლის მიერ წარდგენილ ფორმა № 2-ებში მითითებული 15 380 588,93 ლარისა, შეადგენდა 12 973 983,63 ლარს (ქალაქ ბათუმში, ქალაქ გორსა და ქალაქ თელავში შესასრულებელი სამუშაოების სრული მოცულობის 38%), მათ შორის:

4.7.1. ქალაქ ბათუმის სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენდა 6 190 478,64 აშშ დოლარს;

4.7.2. ქალაქ გორის სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენდა 3 470 198,29 აშშ დოლარს;

4.7.3. ქალაქ თელავის სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენდა 3 313 306,70 აშშ დოლარს.

4.8. 2019 წლის 12 მარტის №01-36/56 წერილით შპს „სპორტმშენსერვისმა“ თანხმობა განაცხადა 2016 წლის 4 ოქტომბრის №160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

4.9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2019 წლის 18 მარტის №MES81900317693 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2016 წლის 4 ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

4.10. შპს „სპორტმშენსერვის“ 2019 წლის 26 ივნისის № MES01900854716 წერილის თანახმად, 2016 წლის 4 ოქტომბრის №160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 აგვისტოს № 1564 განკარგულების საფუძველზე. ხსენებული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება და სამშენებლო სამუშაოები უნდა შეესრულებინა ორ ფაზად. პირველი ფაზით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ქალაქ ბათუმში, ქალაქ გორსა და ქალაქ რუსთავში, ხოლო მეორე ფაზით გათვალისწინებული სამუშაოები – ქალაქ თბილისსა და ქალაქ ქუთაისში. ამასთან, მეორე ფაზით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა მოხდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის თანხმობით). გარდა ამისა, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრებოდა ცალკე შეთანხმებით, რომელიც დანართის სახით დაერთვებოდა 2016 წლის 4

ოქტომბრის № 160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. შპს „სპორტმშენსერვისის“ განმარტებით, მეორე ფაზით გათვალისწინებული სამუშაოები შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ დაუკვეთა.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ „BEHLEN INDUSTRIES LP“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმის შესახებ, რომ ბათუმის სპორტის სასახლე გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სააგენტო აღნიშნავს, რომ ღონისძიების ჩატარება იმთავითვე არ ადასტურებს შენობის სამშენებლო სამუშაოების ჯეროვნად შესრულების ფაქტს. გარდა ამისა, მიმწოდებელს საკუთარ განმარტებაში არ გაუქარწყლებია მოცემულ საქმეში არსებულ 2019 წლის 20 თებერვლის №MES41900201813 მოხსენებითი ბარათში მითითებული პოზიცია ხარვეზებთან დაკავშირებით.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2016 წლის 4 ოქტომბრის №160 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა ვალდებულებების მხოლოდ 38%. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, „BEHLEN INDUSTRIES LP“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

## სარეზოლუციო ნაწილი


სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. „BEHLEN INDUSTRIES LP“ (ს/ნ: 3977448) 2019 წლის 28 ივნისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

ზაზა ნანობაშვილი